№ 176 მთავრობის მოამბე
ყოველდღიური გაზეთი წელიწადი მეორე
ფასი 1 მანეთი. შაბათი 9 აგვისტო 1919 წ.

საქართველოს რესპუბლიკა

მთავრობის მოამბე, ყოველდღიური გაზეთი
(ოფიციალური და არა ოფიციალური განყოფილებით)
„საქართველოს რესპუბლიკა"
მიიღება ხელის მოწერა 1919 წლისათვის. ხელის მოწერის ფასი: ერთი წლით 220 მ., ნახევარი წლ. 110 მ., 1 თვით 20 მ., ცალკე № ყველგან 1 მან. სავალდებულო განცხადებანი დადგენილი ნიხრით. კერძო განცხადებანი შეთანხმებით. გაზეთზე ხელის მოწერა მიიღება დილის 9 ს. ნაშუადღ. 2 ს. ბარონის ქ. № 6, ტელეფონი 1—82

ეროვნული ბიბლიოთეკა

იყიდება ქვა-მარილი
კაგიზმანის, სხვილი ნაჭრობით საქართველოს, აზერბეიჯანის და სომხეთის ყველა სადგურებზე. მსურველთ გაეგზავნებათ ვაგონობით და აგრეთვე ფუთობით. ტფილისში იყიდება ძმ. ი. და პ. ხოლორსკებთან, ბელგიის ქ, № 1. კონტორა გაღებულია 9—3 საათამდე.
1098 1—1

ოფიციალური განყოფილება

კანონი

ცენტრალი სასტატისტიკო კომიტეტის დაარსებისა.

1. დაარსებულ იქნეს რესპუბლიკის ცენტრალი სასტატისტიკო კომიტეტი, თანახმად ამ კანონთან დართული დებულებისა.

2. პირველ მუხლში აღნიშნულ მიზნისათვის გადაიდოს ყოველ წლიურად სახელმწიფო ხაზინიდან ერთი მილიონი ოთხმოცდა ცხრამეტი ათას რვაასი (1.099.800) მანეთი თანახმად ამასთანავე დართული შტატისა.

3. კანონი ესე შედის ძალაში დღიდან მიღებისა დამფუძნებელი კრების მიერ.

1919 წ. ივლისის 25-ს.

საქართველოს დამფუძნებელი კრების თავმჯდომარის უფროსი ამხანაგი
ალ. ლომთათიძე.
საქართველოს რესპუბლიკის მთავრობის თავმჯდომარის მოადგილე **ნ. რამიშვილი.**

დებულება

რესპუბლიკის ცენტრალი სასტატისტიკო კომიტეტისა.

1. სახელმწიფო სტატისტიკის ყველა დარგის გასაერთიანებლად საქართველოს რესპუბლიკის მიწათ-მოქმედების სამინისტროსთან არსდება ცენტრალი სასტატისტიკო კომიტეტი.

2. ცენტრალი სასტატისტიკო კომიტეტის მოქმედების საგანს შეადგენს:

I) ყოველგვარ სახელმწიფოებრივი მნიშვნელობის სასტატისტიკო სამუშაოთა წარმოება, როგორც მიმდინარე ხასიათისა, ისე ერთდროული გამოკვლევისა.

II) ადგილობრივ სასტატისტიკო სამუშაოთა საერთო ხელმძღვანელობა, სახელდობრ:
ა) ერობათა და ქალაქთა წარმომადგენლებთან ერთად შემუშავება პროგრამისა ყოველ იმ სასტატისტიკო გამოკვლევისათვის, რომელსაც აქვს საერთო ხასიათი და ამ საერთო პროგრამას ადგილობრივი პირობის მიხედვით შეეფერება.
ბ) სასტატისტიკო სამუშაოს მოწყობა ადგილობრივ.

III) შემუშავება, როგორც საერთო სახელმწიფოებრივ, ისე ადგილობრივი ხასიათის ყოველგვარ სასტატისტიკო მასალისა.

3. ცენტრალი სასტატისტიკო კომიტეტი შესდგება: თავმჯდომარისა, რომელსაც დანიშნავს და სამსახურიდან დაითხოვს რესპუბლიკის მთავრობა და ოთხი განყოფილების გამგეთაგან.

4. ცენტრალი სასტატისტიკო კომიტეტს აქვს ოთხი განყოფილება, რომლის სათავეშიაც სდგანან განყოფილების გამგენი:
ა) საადგილ-მამულო, სასოფლო, სამეურნეო და ერობის სტატისტიკისა;
ბ) შრომისა და ვაჭრობა-მრეწველობისა;
გ) სატრანსპორტო და სასურსათო, და
დ) მცხოვრებთა და ქალთა სტატისტიკისა.

5. ცენტრალი სასტატისტიკო კომიტეტის განყოფილებათა გამგეებს დანიშნავს და სამსახურიდან დაითხოვს მიწათ-მოქმედების მინისტრი კომიტეტის თავმჯდომარის მიერ წარდგენით; ცენტრალი სასტატისტიკო კომიტეტის დანარჩენ მოსამსახურეებს მიიღებს და დაითხოვს კომიტეტის თავმჯდომარე.

6) ცენტრალი სასტატისტიკო კომიტეტის საერთო ხელმძღვანელობისათვის არსდება ცენტრალი სასტატისტიკო საბჭო შემდეგის შედგენილობით;
ა) თავმჯდომარე, რომელსაც დანიშნავს რესპუბლიკის მთავრობა;
ბ) თავმჯდომარის ამხანაგი არჩეული საბჭოს მიერ მის წევრთა შორის;
გ) ქალაქ ტფილისის თვითმართველობის სასტატისტიკო ნაწილის წარმომადგენელი;
დ) სასტატისტიკო კომიტეტის თავმჯდომარე და განყოფილებათა გამგენი;
ე) იმ შემთხვევაში, როცა განხილულ იქნება ისეთი საკითხი, რომელიც ერთ-ერთ უწყებას შეეხება-ერთი წარმომადგენელი იმ უწყებისა;
ვ) რესპუბლიკის ერობათა ერობის და ქალაქთა კავშირის თითო წარმომადგენელი მათი არჩევით;
ზ) სახელმწიფო უნივერსიტეტის ერთი წარმომადგენელი.

შენიშვნა: საბჭოში შეიძლება მიწვეულ იქნეს თავმჯდომარის მიერ სხვა პირნიც, თუ მათი მონაწილეობა საბჭოს მუშაობაში სასარგებლოდ მიჩნეული იქნება.

7. ცენტრალი სასტატისტიკო საბჭოს მოქმედების საგანს შეადგენს:
ა) სასტატისტიკო კომიტეტის მოსაზრებათა განხილვა სასტატისტიკო სამუშაოთა წარმოებისა, სამუშაოს პროგრამისა, ორგანიზაციისა და ხარჯთ-აღრიცხვისათვის:
ბ) განხილვა იმ საკითხებისა, რომელიც დაკავშირებულია ადგილობრივ სასტატისტიკო ორგანოების დაარსებასთან და მათ ორგანიზაციაში ცვლილების შეტანასთან;
გ) სხვა საკითხები, რომელსაც საბჭოს წარუდგენენ ცენტრალი სასტატისტიკო კომიტეტი და საბჭოს ცალკე წევრები.

8. ცენტრალი სასტატისტიკო კომიტეტის ადგილობრივი ორგანოდ არსდება თანამდებობა მაზრისა და ქალაქის სტატისტიკოსებისა, რომელთაც დანიშნავს და სამსახურიდან დაითხოვს ცენტრალი კომიტეტის თავმჯდომარე სათანადო ერობის და ქალაქის გამგეობასთან შეთანხმებით. მათი რიცხვი განისაზღვრება შტატით.

9. ამ დებულებასთან დართულია სათანადო შტატი.

1919 წ. ივლისის 25-ს.

საქართველოს დამფუძნებელი კრების თავმჯდომარის უფროსი ამხანაგი
ალ. ლომთათიძე.
საქართველოს რესპუბლიკის მთავრობის თავმჯდომარის მოადგილე **ნ. რამიშვილი.**

არა ოფიციალური განყოფილება

მთავრობაში

31 ივლისის სხდომა.

მოხსენებანი ფინანსთა და ვაჭრობა-მრეწველობის მინისტრისა.

დეპარტამენტის დირექტორის თანამდებობიდან განთავისუფლება.

განთავისუფლებულ იქმნას სამსახურიდან ფინანსთა სამინისტროს დეპარტამენტის დირექტორი ს. დ. ჭანტურიშვილი, თანახმად მისი თხოვნისა ოზურგეთის ერობის თავმჯდომარეთ არჩევის გამო.

სავაჭრო აგენტი სტამბოლში.

დაინიშნოს სტამბოლში სავაჭრო აგენტად ვასილ კონსტანტინეს ძე გორდელაძე.

მოხსენება განათლების მინისტრისა.

უნივერსიტეტისთვის საჭირო თანხა.

მიეცეს განათლების სამინისტროს უფლება უნივერსიტეტისათვის საჭირო თანხა 1,538,476 მან. გაიღოს დროებით მის განკარგულებაში არსებულ კრედიტებიდან ერთდროული სესხის სახით იმ პირობით კი, რომ აღნიშნული თანხა ყოველთვიურად შევსებულ იქმნეს 3 თვის განმავლობაში უნივერსიტეტის შესანახად გახსნილ კრედიტის $^{1}/_{12}$ ნაწილიდან.

მიწათ-მოქმედების მინისტრის მოხსენება.

გაგრის კლიმატიურ სადგურისთვის.

მიწათ-მოქმედების მინისტრის მიერ წარმოდგენილი პროექტი გაგრის კლიმატიურ სადგურის პირად შემადგენლობის ჯამაგირების ახალი ნორმებისა მიღებულ იქნას ამა წლის 1 ივნისიდან. სათანადო დეკრეტი წარედგინოს დამფუძნებელ კრებას.

შინაგან საქმეთა სამინისტროში.

გაძევება რესპუბლიკის საზღვრებიდან.

შინაგან საქმეთა მინისტრის დადგენილებით ვ. პ. კობოზევი სამი თვით დაპატიმრებულ სასჯელის გადახდის შემდეგ გაძევებულ უნდა იქნას საქართველოს რესპუბლიკის საზღვრებიდან, როგორც საზოგადოებისათვის მავნე პიროვნება.

„ჟოკეის კლუბის“ წარმომადგენელი.

შინაგან საქმეთა მინისტრის დადგენილებით მ. ს. ბენდეროვი და ა. დ. იაგუბეგოვი, რომელნიც სისტემატიურად აწარმოებდენ წინასწარ დანიშნულ ბანქოთი აღკრძალულ თამაშის საშუალებით სძარცვავდენ კლუბში მოსიარულეთ, ამიტომ, როგორც მავნე ელემენტები მშვიდობიანობისა და წესის, გადასახლებულ იქნან საქართველოს რესპუბლიკის საზღვრებიდან.

მექრთამის გადაყენება და სამართ. მიცემა.

ადმინისტრაციის ინსპექტორმა ბ-ნ გეგელაშვილმა გორის მაზრის კომისრის თანაშემწე ქუმარიტოვზე საჩივარი მიიღო ქრთამის აღების შესახებ. ბ-ნმა ინსპექტორმა თითონ ადგილობრივ მოახდინა გამოძიება და თუმცა თვით ქუმარიტოვი უარს აცხადებდა, მაგრამ მოწმეებმა დაადასტურეს მექრთამეობის ფაქტი. ბ-ნ გეგელაშვილის ბრძანებით ქუმარიტოვი გადაყენებულია თანამდებობიდან და ოქმი გადაეცა საოლქო სასამართლოს ქუმარიტოვის პასუხისგებაში მისაცემად.

დეზერტირების შეპყრობა.

ადმინისტრაციის ინსპექტორმა ბ-ნმა გეგელაშვილმა განკარგულება გასცა მაზრის უფროსებს და კომისრებს, რომ მათ პასუხისმგებლობის ქვეშ პირველ სექტემბრისათვის შეიპყრან ყველა დეზერტირები.

ბ. გეგელაშვილის მოხსენება

შინაგან საქმეთა სამინისტროს ახლად დანიშნული ადმინისტრაციის ინსპექტორი ბ-ნი გეგელაშვილი დაბრუნდა დასავლეთ საქართველოდან, სადაც გასცნობია საქმის მდგომარეობას ერობების, თვითმართველობებისა და ადმინისტრაციისას. მან უკვე ვრცელი მოხსენება წარუდგინა შინაგან საქმეთა მინისტრს. თვის მოხსენებაში ბ-ნი გეგელაშვილი ბევრ დეფექტებს შენიშნავს დ აღნიშნავს, რომ საზოგადოთ ადმინისტრაციას დასავლეთ საქართველოში გამოღონიერება ეტყობა. დასასრულ თვის მოხსენებისა ბ ნი გეგელაშვილი სთხოვს მინისტრს დანიშნოს საგანგებო კომისია, რომელიც გამოარკვევს ზომებს თუ რა გზით აცდენილ უნდა იყოს თავიდან ეს დეფექტები.

გზათა სამინისტროში.

პრემიის შემდეგ.

მაზუთზე პრემიის შემოღებამ სახაზინო რკინის გზებზე უკვე იქონია სასურველი გავლენა მაზუთის ხარჯზე. გზათა დეპარტამენტს აქვს გამორკვეული შემდეგი შედარებითი ციფრები ამის შესახებ:

ამა წლის მაისში, პრემიის შემოღებაში, ორთქმავლების გარბენა იყო 475.388 ვერსი (მატარებლის წევა, რეზერვით გარბენა, მანევრები და სხვა), ხოლო ხარჯი მაზუთისა ამ მიზნებისთვის მაისის განმავლობაში იყო 443,866 ფუთი ანუ ერთ ვერსზე 0,93 ფუთი.

ივნისში, პრემიის შემოღების შემდეგ, ორთქმავლების გარბენა იყო 460.141 ვერსი, მაზუთის ხარჯი 385,076 ფუთი ანუ ერთ ვერსზე 0,85 ფუთი.

შემცირება თვიურ ხარჯისა უდრის 58.790 ფუთი, რაც არსებული ფასით მაზუთზე აღემატება 600,000 მანეთს.

სახალხო განათლების სამინისტროში.

თანახმად განათლების სამინისტროს განკარგულებისა დაიხურა შემდეგი კერძო სასწავლებლები:

ა) ტერ-სტეფანოვის ოთხკლასიანი შერეული გიმნაზია.
ბ) გუდკოვის სრულუფლებიანი გიმნაზია.
გ) ორბელიანცის გიმნაზია.

აღნიშნულ სასწავლებლებში მოწაფეთა რიცხვი მეტად მცირეა: 8-12 და მეცადინეობის სისტემაც ეწინააღმდეგება საღ პედაგოგიურ მოთხოვნილებას.

წაერთვა უფლება შემდეგ სასწავლებლებს:
ა) პუშკინის კერძო გიმნაზიას.
ბ) მეორე სახალხო ოთხკლასიან გიმნაზიას.
გ) ტროფიმენკოს ოთხკლასიან გიმნაზიას.
დ) ალაპიევის რეალურ სასწავლებელს.
ე) ტიხომიროვის და პასჩენკოს გიმნაზიას.
ზ) მაჩაიძის გიმნაზიას.
თ) თევზაძის გიმნაზიას.

გამოეცხადა გაფრთხილება:
ა) სლავო-რუსთა საზოგადოების რეალურ სასწავლებელს.

სამინისტროს ცირკულიარი კერძო საშუალო სკოლათა უფროსებისადმი მათ სასწავლებლებში სწავლა-აღზრდის მდგომარეობის შესახებ.

კერძო საშუალო სასწავლებლების რევიზიამ, რომელიც მოხდა სახალხო განათლების მინისტრის ამხანაგის განკარგულებით, აღმოაჩინა ბევრი უწესოება; თითქმის ყველა ეს სასწავლებლები აღჭურვილი არიან მთავრობის სკოლების უფლებებით, მაგრამ იშვიათად მოიპო-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ება მათში ისეთი, რომელიც შეეფერება თავის დანიშნულებას და ამართლებს მისდამი მინიჭებულ უფლებებს.

ამ კერძო სასწავლებლების მამოძრავი იდეა უფრო მერკანტილურია, ვიდრე პედაგოგიური: თითოეული სკოლის გამგეობა მეტს ყურადღებას აქცევს შემოსავალ-გასავლას, ვიდრე სწავლა-აღზრდის საკითხს.

იშვიათია ამის გამო ისეთი კერძო სასწავლებელი, რომელსაც აქვს სასკოლო ჰიგიენის მოთხოვნილების დამაკმაყოფილებელი ბინა. კერძო სასწავლებლებს აკლია შესაფერი მოწყობილობაც: არ აქვთ არც ფიზიკური, არც გეოგრაფიული, არც საბუნებისმეტყველო კაბინეტები, ზოგს სასწავლებელს არ გააჩნია უბრალო გეოგრაფიული და ისტორიული რუქებიც. მასწავლებელთა კონტინგენტიც კერძო სასწავლებლებში, ჯამაგირის სიმცირის გამო, შესდგება უმთავრესად სათანადო მომზადებას მოკლებულ პირებიდან, რომლებიც, გარდა ამისა ნაკლები სიბეჯითით ეპყრობიან თავის მოვალეობას, ხშირად კერძო სასწავლებლებში ღებულობენ ისეთ მოწაფეებს, რომლებსაც არა აქვთ სათანადო მომზადება, ასეთ პირობებში ძნელია ნორმალური მეცადინეობა.

მართლაც კერძო სკოლებში სწავლა ვერ სწარმოებს სასურველ ინტენსივობით. მასწავლებლები ხშირად სტოვებენ ხოლმე გაკვეთილებს და საზოგადოთ ვერ იჩენენ საჭირო მოყაითობას სწავლებაში: ამოკლებენ სახალხო განათლების სამინისტროს მიერ დამტკიცებულ პროგრამებს და იმასაც კი, რასაც ასწავლიან, გადიან ფრიად ზერელედ და ფუქსავატად.

ამასთან ერთად კერძო სასწავლებლები არღვევენ მათ შესახებ არსებულ კანონის დებულებებს: ღებულობენ მოწაფეთ უსაბუთოდ, აძლევენ ისეთ მოწმობებს, რომლების გაცემა აღემატება მათს კომპეტენციას, არ უფარდებენ გაკვეთილების ცხრილს და საზოგადოთ სწავლა აღზრდის საქმის წარმოებას სამინისტროს მოთხოვნილებებს და სხვა. ყველა ამის გამო კერძო სრულუფლებიან სასწავლებლების მეოხებით მრავლდება რიცხვი ყოველგვარი ატესტატებისა, მაგრამ სახალხო განათლებას ამით არაფერი ემატება. პირიქით, რეალურ მნიშვნელობას მოკლებული ატესტატები ხელს უწყობენ ნამდვილი შრომისათვის სრულიად მოუმზადებელი ახალგაზრდების გამრავლებას.

ვინაიდან ზემოთ აღნიშნული უწესოება სწავლა-აღზრდის საქმეში გამოწვეულია უმთავრესად იმით, რომ კერძო სკოლებს, რომლებსაც მინიჭებული აქვთ ფორმალურათ მთავრობის სასწავლებლების უფლებლები არ შესწევთ არც მატერიალური, არც მორალური სახსარი შექმნან ამ ფორმის შესაფერისი შინაარსი. სახალხო განათლების სამინისტრო, რომელიც თავის მოვალეობად სთვლის ყოველგვარი დახმარება გაუწიოს სახალხო განათლების საქმეში კერძო ინიციატივას, თუ ეს უკანასკნელი გამსჭვალული იქნება საღი პედაგოგიური ფორმის გამოყენებით სრულიად არა პედაგოგიური მიზნების მისაღწევათ, ამიტომ სახალხო განათლების სამინისტრომ დაადგინა: ა) რამოდენიმე კერძო საშუალო სასწავლებელი სრულიად დაიხუროს, ბ) წაერთვას მთავრობის სკოლის უფლებები კერძო საშუალო სასწავლებლების ერთს ნაწილს, გ) წინადადება მიეცეს დანარჩენ კერძო საშუალო სასწავლებლებს იხელმძღვანელონ მომავალში კერძო სასწავლებლების შესახებ არსებულ დებულებით და მეტი მზრუნველობა გამოიჩინონ მათდამი მინდობილ ახალგაზრდობის სწავლა-აღზრდაზე.

საშუალო სკოლის რეორგანიზაციის შესახებ.

მოხსენება წარდგენილი სახალხო განათლების მინისტრის მიერ 1919 წლის 17 ივლისს მინისტრთა საბჭოში.

მრავალ საკითხთა შორის, რომელიც რუსეთის დიდმა რევოლიუციამ და ჩვენი სახელმწიფოებრიობის დაფუძნებამ წამოაყენა, ერთი პირველთაგანი ადგილი ჩვენი სკოლის რეორგანიზაციის საკითხს უჭირავს.

ძველი სკოლა თავის მიმართულებითა და შინაარსით ძველი სინამდვილის ღვიძლი შვილია და ცხადია, დღევანდელ ცხოვრებასა და მის მიზნებს იგი ვერ დააკმაყოფილებს. მას აუცილებლად გარდაქმნა, რეორგანიზაცია ეჭირვება.

მაგრამ რა არის ის მთავარი საფუძველი, რომელზედაც ჩვენი ახალი სკოლა უნდა დავაფუძნოთ და რაგვარი უნდა იყოს ის მიზანი, რომელსაც იგი უნდა ემსახუროს?

დემოკრატიზმი სოციალურის ინტენციით— აი მთავარი საფუძველი, რომელზედაც ჩვენი ახალი სკოლა უნდა აღმოცენდეს, ადამიანის მთლიანი ბუნების ჰარმონიული და კერძოდ, მისი ნებისყოფის განვითარება—აი უმთავრესი მიზანი, რომელსაც სკოლა უნდა ემსახურებოდეს.

თავდაპირველად აღსანიშნავია, რომ თანასწორობის იდეაზე აგებულს დემოკრატიულ სახელმწიფოში ყოვლად შეუწყნარებელია, რომ სოციალურად და წოდებრივად განკერძოებულს ერის ყოველს წრეს, ყოველ კლასს, ჰქონდეს თავისი საკუთარი დამოუკიდებელი გზა განვითარებისათვის. თანასწორობა არა მარტო უფლებრივი მოვლენაა, იგი აუცილებლად კულტურულ თანასწორობას ჰგულისხმობს და, მაშასადამე, მთელის საზოგადოების ცოცხალი ძალები თავისი განვითარებისათვის ერთგვარს, თანასწორსა და თანაბარ პირობებში უნდა იყოს ჩაყენებული.

ცხადია, რომ საზოგადოების ყველა ელემენტისათვის ერთი საერთო განათლების სკოლაა საჭირო თავის შინაარსით, თავისი პროგრამით.

მაგრამ თანასწორობა მოითხოვს, რომ საზოგადოებაში ჯგუფებისა და კლასების არსებობამ არ შექმნას მთლიანობის დარღვევა, გამთიშველი პირობები, რასაც ადგილი აქვს, როდესაც სკოლა წოდებრივ შემადგენლობაზეა აგებული.

აქედან ერთი სკოლა არა მარტო შინაარსით, არამედ შემადგენლობის მხრით.

იგივე პრინციპი დემოკრატიზმისა ეწინააღმდეგება ისეთის აღზრდის სისტემას, როდესაც საზოგადოების ერთი ნაწილი თავის სწავლა აღზრდის დასაწყისშივე წინდაწინვე განსაზღვრულ მიზნებისათვის და სამოქმედო სარბიელისათვის ემზადება, და ეს კი მაშინ ხდება, როდესაც დაწყებითი სკოლა საშუალოსთანაა დაკავშირებული და, მაშასადამე, მისი მოწაფენიც იმ თავითვე განსაზღვრულ განათლების გზის გასასვლელად არიან განმზადებულნი.

აქედან გამომდინარეობს საჭიროება ერთის თვითმყოფის სკოლისა.

ჩვენში დემოკრატიზმის არც ერთი მოთხოვნილება არ არის დაკმაყოფილებული: სხვა და სხვა ტიპის საშუალო სკოლასთან დაწყებითი სასწავლებლის—და—მაშასადამე პროგიმნაზიულ კლასებისაც—არსებობა ჩვენი ცხოვრების მთავარ პრინციპს ეწინააღმდეგება.

ყველასათვის ერთი ისეთი სკოლა უნდა შეიქმნას, რომელიც, როგორც თავისის შინაარსით, ისე შემადგენლობითაც ერთიანი იქნება.

აქედან ცხადია, რომ საშუალო სკოლის მოსამზადებელი კლასები აუცილებლად უნდა გამოეყოს და სახალხო სკოლად გადაიქცეს თავის საკუთარის, დამოუკიდებელის სახით. ეს იქმნება საზოგადო განათლების ერთიანი სკოლის პირველი საფეხური.

ამ გვარადვე გამოეყოფა აწინდელს საშუალო სკოლას პირველი ოთხი კლასი და პროგრამულად გაერთიანდება უმაღლეს დაწყებით სკოლასთან, რომელიც კვლად, მთლიანის, დასრულებული სახით, ერთიანი სკოლის მეორე საფეხური იქნება.

რასაკვირველია, ეს არ იქნება პროგრამული გაერთიანება დღევანდელს უმაღლეს დაწყებით სკოლასთან. უკანასკნელი, როგორც თავისი პროგრამით, ისე მთავარი მიზნებით დღევანდელს ჩვენს მდგომარეობას, იმგვარადვე არ შეეფერება, როგორც დღევანდელი საშუალო სკოლა: ახალი უმაღლესი დაწყებითი სკოლა უნდა გარდაიქმნას იმავე პრინციპების მიხედვით, როგორც საშუალო.

თვით საშუალო სკოლა, რომელიც, მაშასადამე, დღევანდელ მე 5 კლასიდან დაიწყება და მერვე გათავდება, ერთიანი სკოლის მესამე საფეხური იქმნება.

რაგვარი უნდა იქმნეს ეს სკოლა თავის დარგების, ანუ უკეთ რომ ვსთქვათ, სპეციალობათა მიხედვით?

შესაძლებელია თუ არა მე-5 (პირველი) კლასიდანვე დაიყოს იგი სხვა და სხვა სპეციალობის მიხედვით. (ბიფურკაცია), რომ უმაღლეს დაწყებით სკოლაში კურს-დამთავრებულს ყმაწვილს შეეძლოს თავის პიროვნების ბუნების მიდრეკილებისდა მიხედვით, შესაფერი სპეციალობა აიღოს, შესაფერი საშუალო განათლება მიიღოს, თუ სკოლა ერთი ტიპის, ერთი გვარის უნდა იქმნეს?

პრინციპიალურად, რასაკვირველია, არ შეიძლება, რომ მომხრე არ ვიყოთ ბიფურკაციისა, რომელიც გვაძლევს მოწაფეთა ნიჭის ინდივიდუალიზაციის საშუალებას.

მაგრამ რამდენად მიზანშეწონილია და რამდენად მოსახერხებელი იქმნება ეს ბიფურკაციის სისტემა, თუ მივიღებთ მხედველობაში ჩვენი კულტურის სინამდვილის კონკრეტულ პირობებს?

ბიფურკაციას მხოლოდ მაშინ აზრი და აქვს მნიშვნელობა, როდესაც მოწაფე თვითონ თავისთავად ერკვევა, როდესაც თვითონ, დამოუკიდებლად, თავისუფლად ირჩევს ამა თუ იმ სპეციალობის კურსს.

მაგრამ სპეციალობის ამორჩევა თუ იმ ხანში ხდება რომ მოწაფის ნიჭი და მიდრეკილება კიდევ არ გამორკვეულა და არ განსაზღვრულა და მაშასადამე, ამორჩევა დამოკიდებულია სხვა და სხვა პრაქტიკულსა და შემთხვევით მოსაზრებაზე და ყმაწვილის ნამდვილ ნიჭსა და მიდრეკილებაზე, მაშინ ბიფურკაციის მიერ დასახული მიზნების ყოველგვარი აზრი იკარგება.

ჩვენი სკოლა ჯერ კიდევ ერთ-ხანს ვერ შესძლებს მოწაფის ნიჭის ინდივიდუალიზაციის გამორკვევას, მაგრამ ისიც აღსანიშნავია, რომ მარტო სკოლაც ამ შემთხვევაშიაც ვერ დაგვეხმარება. საჭიროა ერთგვარი პირობები, სათანადო კულტურულ-საზოგადოებრივი დონე, რომელიც არა ნაკლებ სკოლისა იმავე მიზანს, მოწაფის ნიჭის ინდივიდუალიზაციას ემსახურება.

და თუ მივიღებთ მხედველობაში, რომ დღევანდელ საშუალო სკოლაში კურს-დამთავრებულსაც უმაღლეს სასწავლებელში წასვლისას ძლიერ ხშირად ვერ გადაუწყვეტიათ რომელი სპეციალობა ამოირჩიონ უმაღლესი ცოდნის მიღებისათვის და რამდენსამე წელიწადს სწორედ ამ თავის შესაფერ სპეციალობის ძებნას ანდომებენ, ცხადი უნდა იყოს ყველასათვის, რომ განახლებულ საშუალო სკოლის პირველ კლასიდან, დღევანდელს ჩვენს პირობებში, ბიფურკაცია შეუძლებელი იქნება, ამასთანავე არ უნდა უგულებელვყოთ ისიც, რომ სრული, ბოლომდე გატარებული ბიფურკაცია გულისხმობს ყველა სპეციალობის, ყველა დარგის არსებობას ერთსა და იმავე სკოლაში, რაიც აუარებელ ხარჯებს გამოიწვევს და რაიც კვლად, დღევანდელ ჩვენს ეკონომიურ პირობებში მოუხერხებელია.

აქედან ცხადია, ჯერ-ჯერობით ჩვენს საშუალო სკოლაში საერთო განათლების ერთ ტიპზე შევჩერდეთ. აქ რასაკვირველია, მხედველობაში არა გვაქვს სხვა და სხვა საპროფესიო და სატეხნიკო სკოლები.

რას უნდა ემსახუროს ეს სკოლა, რაგვარი უნდა იყოს მისი აღზრდის სისტემა?

თანამედროვე სკოლას ერთად ერთ მიზნად მხოლოდ ცოდნის გადაცემა დაუსახავს თავის მოწაფეთათვის, ხოლო ცოდნას ამ შემთხვევაში თითქმის მუდამ მარტო მეხსიერების საფუძველზე უხდება დაქკვიდრება.

ამით აიხსნება ცუდათ გაგებული, გადაჭარბებული ინტელექტუალიზმი, რომელიც დღევანდელს ჩვენს სკოლას ახასიათებს და რომელზედაც უმთავრესად დამოკიდებულია ამ სკოლის უარყოფითი მხარეებიც.

ცხადია, აღზრდის მიზანი მარტო მეხსიერებისა და ცოდნის ფარგლებში არ უნდა დარჩეს მომწყვდეული, არამედ იგი ადამიანის მთლიანი ბუნების მომზადებისაკენ უნდა, იყოს მიმართული.

ჩვენი ცხოვრების არსებობა კულტურული შემოქმედებაა. შემოქმედების პრინციპი კი— ნებისყოფა. მაშასადამე ცხოვრებისათვის ადამიანის მომზადების მიზანი ნებისყოფის განვითარებაში უნდა განხორციელდეს.

ამისთვის კი უპირველესად ყოვლისა საჭიროა ვიცოდეთ თვისება და ხასიათი იმ ცხოვრებისა, იმ გარემოებისა, რომლის დასაძლევად და გადასაჭრელად თვით ნებას უხდება მუშაობა.

ეს გარემო კი ამ გვარია: ობიექტური მსოფლიო ანუ ბუნება და კულტურა ადამიანი, საზოგადოება.

აქედან გამომდინარეობს მიუცილებელი საჭიროება სკოლის ჰუმანიტარული ე. წ. რეალურ მხარეების სინთეზისა—მთავარი საფუძველი ახალი სკოლისა, რომელსაც მიზნად ადამიანისა და ბუნების შესწავლა ექნება დასახული.

ცხოვრების სინამდვილე, რომლის ფარგლებშიაც ადამიანის შემოქმედებითი ნება იშლება, თითონ ადამიანია.

ცხადია, ადამიანის ბუნების შემეცნება სკოლის ერთ-ერთ მნიშვნელოვან მიზნათ უნდა ჩაითვალოს, რისთვისაც სასკოლო პროგრამაში ფსიქოლოგიის შესწავლას საპატიო ადგილი უნდა დაეთმოს.

მაგრამ ადამიანთა ცხოვრების არსება მარტო ფსიქოლოგიით არ განისაზღვრება. მათი ერთი-ერთის დამოკიდებულება პოლიტიკურის ხასიათისა განსაკუთრებულ კანონებს ექვემდებარება და ადამიანს სწორედ პოლიტიკურ ნიადაგზე უხდება თავისი ნებისყოფის გაშლა და სკოლის უდიდესი მიზანიც ამ პოლიტიკურ ცხოვრების კანონების გაშუქება უნდა იქნეს მოზარდი თაობისათვის, მისი მოქალაქობრივი საკითხი უდიდეს საკითხათ უნითვლებოდეს.

ცხოვრების ორსავე ამ მხარეს ისტორია გვითვალისწინებს, მაშ ისტორიას ჯეროვანი ადგილი უნდა დაეთმოს სასკოლო პროგრამაში.

მაგრამ, ვინაიდან საჭიროა არა მარტო საზოგადოთ ადამიანის ცოდნა, არამედ უპირატესად იმ ადამიანის და საზოგადოებისა, რომელშიაც ჩვენი ნება იმოქმედებს. ისტორიულ მეცნიერებაში საპატიო ადგილი საქართველოს ისტორიას უნდა მიეკუთვნოს.

დემოკრატიულ სახელმწიფოში ყველას უშუალოდ მოუხდება პოლიტიკურ ცხოვრებაში ჩარევა, რაიც მოითხოვს სახელმწიფოს კანონმდებლობისა და კონსტიტუციის ცოდნას, აქედან გამომდინარეობს ელემენტარული უფლების მეცნიერებისა და პოლიტიკური ეკონომიის ცოდნა. პირველი, როგორც საფუძველი სოციალურად განწყობილის პოლიტიკური აზროვნებისა, და მეორე, როგორც ნიადაგი სოციალური მსჯელობისა.

როგორც ზევით ვსთქვით, განახლებულ სკოლის მიზანი არის არა მარტო ადამიანის, არამედ ბუნების შესწავლა.

ბუნება დიდი ხანი არ არის რაც სკოლის კედლებში შეიჭრა. საშუალო საუკუნოების უარყოფილი დამოკიდებულება ბუნების მიმართ დიდხანს ბორკავდა უკანასკნელს და არავითარ გასაქანს არ აძლევდა მას, მაგრამ დღეს ბუნებისმეტყველება იმდენათ მძლავრ ნაკადად შეჭრილია თანამედროვე ცხოვრებაში, რომ ძნელი მოსანახავია რაიმე კულტურული ღირებულება, რომ მას ბუნების დაღი არ ასვია და თუ ცხადია, რომ ადამიანის აქტიობა ბუნების გარემოზე ზედგავლენაზე მხილდება, ბუნების-მეტყველებისა ყველა დარგს უპირატესი ადგილი უნდა მივაკუთნოთ საშუალო სკოლაში.

ამ მხრივ ახალი სკოლის სამოსწავლო გეგმაში დიდი ცვლილებაა შეტანილი. ბუნების მეტყველების ყველა დარგს: ბოტანიკა, ზოოლოგია, ანატომია, ფიზიოლოგია ადამიანისა, ქიმია, რომელიც დღემდე ნამდვილ საშუალო სკოლაში 5—8 კლასებში არ ისწავლებოდა, სათანადო ადგილი აქვს დათმობილი საშუალო სკოლის ყველა კლასში.

მაგრამ ადამიანს საზოგადოდ ბუნებაში არა თავის ქვეყნის ბუნების ნიადაგზე უხდება ცხოვრება და მოქმედება. აქედან ცხადია, რომ სკოლა უპირატესად სამშობლო ბუნებას უნდა აცნობდეს მოზარდ თაობას, მაგრამ, ვინაიდან სამშობლო ბუნება საზოგადო ბუნების კანონებს ექვემდებარება, შეუძლებელია მარტო სამშობლო ბუნების გაცნობა, საზოგადო ბუნების განსჭვრეტა კერძოსა და საერთოს ორსავე ერთსა და იმავე დროს უნდა გულისხმობდეს.

ბუნებასა და ადამიანთა საზოგადოებას მუდმივი კავშირი აქვთ ერთმანეთთან, ამ კავშირის ნათელსაყოფად და გასათვალისწინებ-

ლად საჭიროა ცოდნა გეოგრაფიისა საზოგადოთ, რომელსაც აფუძლად სამშობლო ქვეყნის გეოგრაფია უნდა დაედვას ისე, როგორც საზოგადო ბუნების-მეტყველებასა და ისტორიას საფუძვლად უდევს სამშობლო ბუნება და ისტორია.

ამგვარად განსაზღვრულ სკოლაში მთელს სინამდვილეს ექნება დათმობილი, მაგრამ იქ იგი მხოლოდ განყენებულად იქნება წარმოდგენილი, ხოლო კონკრეტულ სინამდვილის ცოცხალ სახის წარმოდგენისათვის აუცილებლად საჭიროა ლიტერატურა საზოგადო და უპირატესად სამშობლო ლიტერატურა, ვინაიდან იგი სარკეა, რომელიც სინამდვილის, როგორც დადებითის, ისე უარყოფითის სრულს გამოხატულებას იძლევა.

ასე სრულდება გონების განვითარების მასალათა წრე. ქართული ენა და სიტყვიერება, რუსული და მსოფლიო ლიტერატურა, ერთი უცხო ენა (ფრანგული, გერმანული ან ინგლისური), ისტორია, პოლიტიკური ეკონომია, სამართლის მეცნიერება, ფილოსოფიური პროპედევტიკა, და საბუნებისმეტყველო სამათემატიკო დარგის ყველა საგანი.

როგორც აქედან სჩანს, ახალ სკოლის სასწავლო დისციპლინაში როგორც სავალდებულო საგანს, ადგილი აღარ უნდა ექნეს კლასიკურს (ლათინურ), ენას და აი რატომ:

კლასიკური სკოლის მომხრეთა აზრით საშუალო სკოლის სარჩულად აუცილებლათ ანტიური კლასიკური კულტურა უნდა დაედვას, რადგანაც მხოლოდ ის არის ერთად ერთი, ყოველმხრივ დამუშავებული, მთლიანი ჰუმანიური იდეებით გამსჭვალული და მაღალი სილამაზით გაფაქიზებული.

კლასიკური ენები აგრეთვე მდიდარია შინაარსის მხრივ და დასრულებულად ჩამოყალიბებული გარკვეულ გრამატიკულ და სტილისტიურ ფორმებში, რომელთა შესწავლასაც მოწაფე შეჰყავს ძველი კულტურის სულიერ საუნჯის სამეფოში და აძლევს საუკეთესო საშუალებას გონების ფორმალური ვარჯიშობისათვის. ამისათვის ჰუმანიური განვითარება და მოზარდი თაობის უნივერსიტეტისათვის მომზადება მხოლოდ ძველ ხალხთა კულტურისა და მათ ენათა შესწავლის შეოხებით შეიძლებაო.

თავდაპირველად აღსანიშნავია, რომ ერთი მიზანთაგანი, რომელიც კლასიკურ ენის სწავლებას ჰქონდა დასახული—გონების ფორმალური ვარჯიშობა—ახალი ენების საშუალებითაც შეიძლება: ახალი ენების გრამატიკული ფორმების და სტილის მხრივ შესწავლა, მისი შედარება მშობლიურ ენასთან სრულიად საკმაო მასალას იძლევა გონების ფორმალურ გიმნასტიკისათვის, და ამ მხრივ ეს ენები არ ჩამოუვარდება ლათინურს.

რაც შეეხება იმ გარემოებას, რომ კლასიკურ ენების შესწავლას და მხოლოდ მას შეჰყავს ახალგაზდობა ევროპის კულტურის სულიერ სამეფოში, ეს მოსაზრება დღეს უკვე დრომოჭმულათ უნდა ჩაითვალოს.

საქმე ის არის, რომ ახალი ევროპის კულტურა უკანასკნელ საუკუნეების განმავლობაში ისეთის ჩქარი და მტკიცე ნაბიჯით წავიდა წინ და ისე დაგვაშორა ძველს კულტურას, როგორც ვერ შესძლეს ეს წინა 5—6 საუკუნეებმა.

(დასასრული ხვალ)

ახალციხის მიწის მუშათა საბჭოში

ახალციხის მიწის მუშათა საბჭომ თავის 1-ლ აგვისტოს სხდომაზე, რომელსაც დაესწრო საბჭოს მთელი შემადგენლობა, მოისმინა ახალციხეში არსებულ ქართულ-ეროვნულ პარტიის ორგანოში „მესხეთ-ჯავახეთის“ № 7-ში მოთავსებული წერილები საბჭოს მოღვაწეობაზე, სადაც უღირსად არის მოხსენებული როგორც საბჭოს მთელი შემადგენლობა ისე ის პირები, რომელნიც დაუღალავ შრომას ეწეოდენ ახალციხის მაზრის გლეხთა საკეთილდღეოთ, ყოველგვარი გაუგებრობის თავიდან ასაცილებლათ და ეროვნული პარტიის პროვოკაციის გასაფანტავად აცხადებს: მიწის მუშათა საბჭო, არჩეული 1-ლ იანვარს გლეხთა ყრილობაზე, რომელსაც დაესწრო ყველა სოფლის წარმომადგენლები და შემდეგ შევსებულ ადგილობრივ საჭიროებათა მიხედვით, როგორც იანვარში, ისე საქართველოს ჯარების მიერ ახალციხის დაკავების შემდეგ, აერთიანებდა მაზრის მთელ გლეხკაცობას და იმ მძიმე დღეებში, როდესაც მშრომელ ხალხს გამკითხავი არ ყავდა, მხოლოდ ერთად ერთი საბჭო და მისი ხელმძღვანელი პირები იცავდნენ მაზრის მცხოვრებთ მძარცველებისაგან და დამბრეველთაგან

ვეშაპელის პარტიის გაზეთის „მესხეთ ჯავახეთის“ კომპანია მიმართულია საქართველოს მთავრობის პოლიტიკის წინააღმდეგ და პროვოკაცია-ცილის წამებით ცდილობენ 10 აგვისტოს დამფუძნებელი კრების დამატებითი არჩევნების დროს მიიღონ ხმები, რათა მთელი საქართველოს მიერ გაშავებული ვეშაპელის მდიდართა პარტია გაათეთროს მესხეთ ჯავახეთის ხალხმა.

ვაცხადებთ რა სასტიკ პროტესტს ეროვნული პარტიის მიერ წარმოებულ პროკაციულ მუშაობის წინააღმდეგ, საბჭო ადგენს, პასუხის გებაში იქმნას მიცემული გაზეთ—„მესხეთ ჯავახეთის“ ხელმძღვანელი ცილის წამებისათვის და სასამართლოს წინაშე პასუხი აგონ იმ პირებმა, ვინც ცდილობს დასცეს დემოკრატიული მთავრობის გავლენა და ხალხში არევ დარევა შეიტანოს.

კერძოთ დამფუძნებელი კრების წევრის ლეო რუხაძის და საბჭოს თავმჯდომარის იოსებ ყაჭეიშვილის მოღვაწეობის შესახებ, საბჭო აცხადებს რომ ლეო რუხაძე ორი წელია ხალხთან ერთად იზიარებდა მის მძიმე ხვედრს და მთელი ძალ-ღონით იცავდა გლეხკაცობას, ხოლო საბჭოს თავმჯდომარე ყაჭეიშვილი საბჭოში ეწეოდა დაუზარებელ მუშაობას და განსაცდელის დღეებში ხალხს გაჭირვებას უმსუბუქებდა.

ხელს აწერენ: საბჭოს კრების თავმჯდომარე: ოსმან შევყი ეფენდი მიქელაძე. წევრები: 1) საიდ კუპრი ოღლი, 2) ასლან დეკანოიძე, 3) ისკანდერ ბეგ ყაფლანოვი, 4) რაჯაბ ქიტუნაშვილი, 5) იუბ-სული-ოღლი, 6) შალვა ვარდიძე, 7) დიმიტრი სპირიდონის ძე ჯვარიძე, 8) სულეიმან ისა-ოღლი, 9) ჰკოფ მანუკიანცი, 10) აიდამირ-ტაირ-ოღლი, 11) ბაშირ-რაჯიბ-ოღლი, 12) ალაი-სულთან-მურადოვი, 13) შაქირ თორომან-ოღლი, 14) მაადინ მამად ალი ოღლი, 15) სანდრე მაისურაძე, 16) მოსე მაისურაძე, 17) სოლომონ დიასამიძე, 18) გიგო მელიქიძე, 19) ნაზიმ აგაევი, 20) მურსალ მუხლილოვი, 21) ალი-დურსუნ-ოღლი, 22) ჩიტაძე კოლა, 23) რეშიდ-შავლუდ-ოღლი.

ერობა

დათესილი მინდვრები და მოსავლის, ვარაუდი.

ტფილისის მაზრის ერობაში მიღებულ ცნობების მიხედვით წელს ტფილისის მაზრაში დათესილი მინდვრები და მოსავლის ვარაუდი შემდეგია:

1. თელეთის რაიონში, მოხნული და დათესილია პური—485 დესეტინა, ქერი—149$^{1}/_{2}$, აქედან მოსალოდნელია პურის ღალა—1387 ფუთი, ქერის—574 ფ. და 30 გირვ.; ქერის—2460 ფუთი.

2. დიღომის რაიონში მოხნული და დათესილია დაახლოვებით 500 დესეტინა.

3. ახალ სოფლის რაიონი: მოხნული და დათესილია: პური—200 დეს.; ქერი—88 დეს. აქედან ნავარაუდევია ღალა: პურის—დაახლოვებით 1300 ფ.; ქერის—700 ფ.; თივა—45 ურემი.

4. მანგლისის რაიონში მოხნულია და დათესილია: პური—192 დეს. ქერი—88 დეს. პურის ღალა ნავარაუდევია—960 ფ.; ქერის—490 ფ.; თივის—110 ურემი.

5. საგარეჯოს რაიონში მოხნული და დათესილია: პური—დაახლოებით 160 დესეტ. ქერი—3 დეს. სიმინდი—53$^{1}/_{2}$ დ. საიდანაც მოსალოდნელია ღალა: პურის—450 ფ. ქერის—3 ფ. სიმინდის—301 ფ. თივის—24 ურემი.

მოსავლის გაფუჭება.

ტფილისის მაზრის ღალის ასაკრებ ორგანიზაციის ცნობით:

ამ ზაფხულზე ტფილისის მაზრაში შემდეგი სოფლებია დასეტყვილი: მარიენფელდი, პეტერსდორფი, პატარძეული, წავკისი, ბერთუბანი, ერტისი, ვაშლოვანი, დიღომი, ოქროყანა და სხ. უმეტესი მათგანი დაზარალებულია სეტყვისაგან, დანარჩენი ქარისაგან და კალიისაგან.

ერობათა ცენტრალურ ბიუროში.

ერობათა ცენტრალურმა ბიურომ ა. წ. 14 ივლისს სთხოვა რესპუბლიკის ყველა ერობათა გამგეობებს, რათა უკანასკნელთ უეჭველათ ეგზავნათ ერობათა ყრილობების ოქმები და საჭირო მოხსენებები, როგორც შინაგან საქმეთა სამინისტროსათვის, ისე ბიუროსათვის. ცენტრალურმა ბიურომ უკანასკნელ დღეებში მიიღო ასეთივე მოთხოვნილება შინაგან საქმეთა სამინისტროსაგან და ხელმეორეთ სთხოვს გამგეობებს, რათა აუცილებლათ გამოგზავნონ სამინისტროში და ბიუროში უკვე გათავებული ყრილობების ოქმები და მოხსენებები, შემდეგისათვის კი ყოველივე ეს დაუყოვნებლივ იგზავნოს ხოლმე თავის დროზე.

არჩევნები.

საერობო „წვრილი ერთეულის“ არჩევნები ბახვში. 13 ივლისს 1919 წელს მოხდა ბახვში საერობო წვრილი ერთეულის არჩევნები. არჩეულ იქმნა 25 ხმოსანი. ხმოსანთა პირველი საარჩევნო ყრილობა შესდგა 19 ივლისს, სადაც აირჩიეს წვრილი ერთეულის საბჭოს პრეზიდიუმი და გამგეობა.

საბჭოს თავმჯდომარეთ აირჩიეს პოლიკარპე ინწკირველი, საბჭოს მდივნათ ნიკოლოზ ღლონტი, გამგეობის თავმჯდომარეთ გიგო დავითის ძე შარაშიძე, გამგეობის წევრებათ პავლე ჩხაიძე და ერმილე ცქვიტინიძე.

გამგეობის თავმჯდომარეს კრებამ დაუნიშნა გასამსჯელოთ თვეში 1000 მანეთი, გამგეობის წევრებს კი 800 მანეთი თითოს. საბჭოს პრეზიდიუმი კი უსასყიდლოა. და ბოლოს ყრილობამ გამოუცხადა მთავრობას სრული ნდობა და აღუთქვა მას მხარის დაჭერა და დახმარება რევოლიუციის და სამშობლოს მონაპოვართა გაღრმავება-განმტკიცებაში.

თეატრი და მუსიკა

„კაპელა“

ჩვენი ეროვნული ცხოვრების თვითეული დარგი აღორძინების ხანას განიცდის. საუკუნის განმავლობაში მოდუნებული ერის გენია დღითი დღე იღვიძებს. თითქმის ხელოვნების ყველა დარგში მოხდა ერთგვარი გადატრიალება, მაგრამ ამ მხრივ ყველაზე მეტი წარმატება მუსიკა-სიმღერას ემჩნევა. დღემდე ჩვენი სცენისთვის უცხო ეროვნული ოპერები და სხვა მრავალი ამის დამადასტურებელია.

უკანასკნელად კიდევ სამუსიკო საზოგადოებისა და კოოპერატივთა კავშირის თაოსნობით შესდგა მომღერალთა გუნდი „კაპელას“ სახელწოდებით, რომელსაც ხელმძღვანელობს ცნობილი კომპოზიტორი დ. არაყიშვილი. დიდი ხანი არ არის რაც „კაპელა“ დაარსდა და დაწვრილებით ჯერ იმის შესახებ არას ვიტყვით, მაგრამ 5 აგვისტოს დემოკრატიულ კლუბში გამართულმა „კაპელას“ კონცერტმა ნათლად დაგვანახვა არაყიშვილის უტყუარი ნიჭი და „კაპელას“ კეთილი მომავალი.

„კაპელა“ ამ დღეებში რესპუბლიკის დაბა-ქალაქებში მიემგზავრება, სადაც კონცერტებს გამართავს. ვიმედოვნებთ, რომ პროვინციის ინტელიგენცია და ფართო მასა ღირსეულად შეხვდება „კაპელას“.

დასასრულ არ შეგვიძლია სიამოვნებით არ აღვნიშნოთ, რომ, კოოპერატივთა კავშირს ხელოვნებისადმისაც დაუსახავს სამსახური, რისთვისაც მადლობის მეტი არა გვეთქმის რა.

გ.

მილიციაში

სისხლის სამართლის მილიციის უფროსის პ. ზ. ფაჩულიას ბრძანებით დაჭერილია პორუჩიკი ნარიმანოვი. მას ბრალი ედება კონსტანტინე წიფარაძისაგან 5 ათასი მანეთის გამოტყუებაში, რომელიც ნარიმანოვმა 2 ივლისს გამოართვა ნიჟარაძეს მე-3 უბნის კომისარის კვესაძის(რომელიც სამსახურიდან დათხოვნილია სხვა საქმის გამო) გადასაცემათ, რომლის დახმარებით ნარიმანოვს უნდა გაენთავისუფლებია ნიჟარაძის ბინა შინაგან საქმეთა სამინისტროს მიერ მოხდენილ რეკვიზიციიდან. ბრალდებული და საქმე გადაეცა გამომძიებელს.

ამა წლის ივლისის 31 სისხლის სამართლის მილიციის მოსამსახურეებმა აღმოაჩინეს ჩერქეზიშვილის ქუჩაზე ტურიანცის დუქანში № 159 ვინტოვკა 200 საომარი ტყვიებით.

ამა წლის აგვისტოს 3-ს საინჟინერო დისტანციის ჩინოსან ნეროვის ბინაზე, ინჟინრის ქუჩა № 3, მილიციის მსახურებმა აღმოაჩინეს „ბერდანკა“, 49 საომარ ტყვიებით.

აგვისტოს 4-ს სისხლის სამართლის მილიციის მოსამსახურეებმა აღმოაჩინეს მორდუხ ფირსმანის ბინაზე მინკვიცევის ქუჩაზე, № 8, ვინტოვკა და ხელით სასროლი ყუმბარა.

აგვისტოს 4-ს სისხლის სამართლის მილიციის მოსამსახურეთა მიერ დაჭერილია ალექსანდრე გოცირიძე, რომელმაც მოტყუებით მიჰყიდა, 19 თებერვლის ქუჩაზე მცხოვრებ პაიკ აივაზიანცს, მარილი შაქრის მაგივრათ, სულ 700 მანეთისა.

ამა წლის ივლისის 25-ს, ვერის დაღმართზე მცხოვრებ აბოევს მოჰპარეს ფულათ და ავეჯეულობაათ სულ 1000 მან. ამ საქმის გამო 1 აგვისტოს დაჭერილია ქურდი 12 წლის სტეპოვინოვა, საქმე გადაეცა გამომძიებელს.

ივლისის 26-ს დაჭერილია დარაჯები მიხეილ ქვრივიშვილი და ვლადიმერ დათიკელაშვილი, მათ ბრალი ედებათ ტფილისის სამაზრო—საერობო გამგეობის სასურსათო განყოფილების საწყობიდან ასანთის, შაქრის, თეთრეულის და სხვის სისტემატიურ ქურდობაში.

სისხლის სამართლის მილიციის მოსამსახურეების მიერ დაჭერილია სპარსეთის ქვეშევრდომი იუ'უფ-ალა-ოღლი, რომელსაც ბრალი ედება ნაქურდალი საქონლის ყიდვაში—რომელიც ეკუთვნოდა სპარსეთის ვიცე-კონსულს.

აგვისტოს 3-ს, ვორონცოვის ძეგლთან სისხლის სამართლის მილიციის მოსამსახურეთა მიერ დაჭერილია ალექსანდრე მგალობლიშვილი, მას ბრალი ედება ვიღაც უცნობი სოფლელის მკვლელობაში გაძარცვის მიზნით, რომელიც მან მოკვლის შემდეგ მტკვარში გადააგდო. ეს მკვლელობა მოხდა 2 თვის წინეთ მადათოვის კუნძულზე, დავით ტოროზოვის დუქანში, მკვლელი გასცა იქვე მყოფმა მაყურებელმა.

4 აგვისტოს დაიჭირეს ხაჩატურ აირაპეტოვი 12 წლის და ქრისტეფორე ჭავჭავაძე 33 წლის, რომლებმაც ჯიბიდან ამოართვეს სადგურზე ანნა ცატუროვას საფულე, რომელშიაც იყო, სულ 601 მან. 60 კ. ეს ფული სრულათ აღმოაჩნდათ ჯიბგირებს და დაუბრუნდა პატრონს.

4 აგვისტოს სისხლის სამართლის მილიციის მოსამსახურეთა მიერ დაჭერილია გურგენ კონსტანიანცი, რომელმაც მოტყუებით გამოართვა თავის ნაცნობს ტიმოს ტიმოსიანცს 600 მან. ვითომ და სავაჭრო საქმეებისთვის, ნამდვილათ კი ეს ფული მან გაფლანგა.

სისხლის სამართლის მილიციის განკარგულების თანახმათ დაჭერილი არიან უმცროსი მილიციონერი სისხლის სამართლის მილიციისა თარხან-მოურავოვი, და იმავე მილიციის აგენტი ვახტანგ ჯაბადარი, რომლებმაც გამოსტყუეს ეხონსტო რაუდლერს დიდუბეში 3800 მან.

ივლისის 27-ს სისხლის სამართლის მილიციის მოსამსახურეებმა, მტკვრის შესახვევში № 3 დაიჭირეს ილია ბიკენტის ძე ნოვანოვსკი, რომელმაც დაირქვა ილია ნიკოლოზის ძე პეტროვსკი, ის მონაწილეობას იღებდა შარშანდელ, უზლანერის მაღაზიის გაძარცვაში, 3000 ათასი მან. წაღებაში და ბერმანნის ბინიდან კარუსელის დაღმართი № 20, 40 ათასი მანეთის ნივთების გატაცებაში.

სისხლის სამართლის მილიციის მოსამსახურეთა მიერ დაჭერილია ლავრენტი ბარკალაია, რომელსაც გაჩხრეკის დროს აღმოაჩნდა ტანისამოსში ჩაკერებული ორი მოწმობა, რომლებიდანაც აღმოჩნდა, რომ ბარკალაია წი-

ნათ მსახურობდა ქართული ჯარის ერთ-ერთ პოლკში, შემდეგ კი გადავიდა მოხალისეთა ჯარში. ბარბალაია 4 აგვისტოს გადაგზავნეს შინაგან საქმეთა სამინისტროსთან არსებულ საგანგებო რაზმის უფროსის განკარგულებაში.

—

სისხლის სამართლის მილიციის მოსამსახურეების მიერ აღმოჩენილია 6 აგვისტოს, ლევ ისლამ გერვიჩის ბინაზე, რომელიც სცხოვრობს დესიმონოვის მოედანზე, № 16, მოპარული ცხენი, რომელიც ალექსანდრე არტემის ძე ალიხანოვს ეკუთვნოდა, ცხენი პატრონს დაუბრუნდა.

—

სისხლის სამართლის მილიციის უფროსის თანაშემწემ ჩიხლაძემ მოახსენა თავის უფროს რომ მიუხედავად იმისა, რომ მან ბრძანება გასცა პროკურორის ზედამხედველობის და გამომძიების დაჭერილ პირთა შესახებ ყოველივე მოთხოვნილებები შეკრებილი ცნობების და სხვა ასეთი ქაღალდები რიგს გარეშე იწერებოდეს, მაინც ამ ბრძანების შესრულებაში უფროს მილიციონერებს ეტყობათ დაუდევრობა, თუმცა იშვიათად კი, ამიტომ სისხლის სამართლის მილიციის უფროსი წინადადებას აძლევს უფროს მილიციონერებს, რათა ზემო ხსენებული ბრძანება შესრულებული იქნეს 3 დღის განმავლობაში. საქმის წარმოებლის მოვალეობაა თვალყური ადევნოს ამ ბრძანების შესრულებას.

—

ამა წლის აგვისტოს 5-ს სისხლის სამართლის მილიციის მოსამსახურეებმა აღმოაჩინეს ბაბუნაშვილის ბინაზე, ყიფიანის ქუჩაზე, № 48 ვინტოვკა, ოსმალური მაუზერი 41 ტყვიით და ნაგანი 7 ტყვიით. ეს იარაღი მას ჩამოერთვა ნებართვის უქონლობის გამო.

—

მეორე უბნის რაიონში ბავშვებმა თამაშის დროს ცეცხლი წაუკიდეს ხმელ ბალახს. ცეცხლმა იმატა და მიუახლოვდა შენობებს. მეორე უბნის კომისარმა საჩქარო ზომები მიიღო და დროზე შეაჩერა უბედურება, რომელიც უსათუოდ უნდა მომხდარიყო და ცეცხლის მქრობელი რაზმი უკან დააბრუნეს.

ვიღებ რა მხედველობაში, რომ ასეთ შემთხვევის განმეორება შესაძლებელია, მივმართავ მცხოვრებლებს თხოვნით თვალყური ადევნონ ბავშვებს, რათა თავი დაიცვან უბედურებისაგან. ამასთანავე გაფრთხილებთ, რომ თუ ჩემი თხოვნა არ იქნება შესრულებული, სამწუხაროთ, იძულებული ვიქნები პასუხისგებაში მივცე მშობლები. მილიციის უფროსი **ხულაქველიძე.**

სხვა და სხვა.

3 აგვისტოს, თიანეთის მაზრის ხმოსანთა ყრილობამ აირჩია ერობის თავმჯდომარეთ ვლადიმერ პაპავა. გამგეობის წევრებათ პროკოფი დოლიძე, ნიკოლოზ ნადიბაიძე, ლევან დოლიაშვილი № 1.

ერობის თავმჯდომარე პაპავა.

◆ დასავლეთ საქართველოდან ამიერ-კავკ. კოოპერატივთა კავშირს აუარებელი დეპეშები მოსდის პროვინციიდან „გთხოვთ კაპელამ (მომღერალთა გუნდმა) გამართოს ჩვენში კონცერტი რის მოთხოვნილებაც დიდია“.

14 აგვისტოს კაპელა უკვე მიემგზავრება ფრონტზე და პროვინციებში საკონცერტოთ.

◆ ახალსენაკის ვაჟთა გიმნაზიაში მისაღები გამოცდები ყველა კლასებში (უფროს მოსამზადებელი და 1—7 ძირითად კლასებში) 1 ენკენისთვიდან.

◆ ივრის თემის თაოსნობით სადგურ იორთან მარიამობის 17-დან იმართება ყოველკვირეული საკვირაო ბაზრობა. ბაზარზე გამოვა სოფლისა და ქალაქის ყოველგვარი ნაწარმოები თუ საქონელი. მატარებელი ჩავილის დილით 12 ს., ნაშუადღევს ტფილისკენ ჩამოივლის 4 ს.

გარე-კახეთსა და შიხილო ყარაიაზის შორის საქონლის ტაცობის მოსპ. შესახებ რწმუნებულმა იოსებ იმედაშვილმა სათანადო მთავრობას საგანგებო მოხსენება წარუდგინა.

◆ საგარეჯოს უბნის ახალი კომისარი რ. გიგაური ბეჯითად შეუდგა თავის თანამდებობის ასრულებას, თავგასულ მედუქნეებს, განსაკუთრებით ყასბებს მოსთხოვა წესიერება. და სხვა.

◆ იოსებ იმედაშვილმა გარე-კახეთში და კახეთში წაიკითხა ლექციები „დემოკრატიული რეჟიმი და გარდამავალი ხანა“, „ცხოვრება და ხელოვნება“, „ზურგი და ფრონტი“ და სხვა. ხალხი ყველგან ყურადღებით უსმენდა ლექტორს. იგივე ლექცია წაიკითხა საგარეჯოში.

◆ სართიჭალის რაიონის კომისარმა პოლ ალ. ზაქარიაძემ სართიჭალა-ყარაიაზის საზღვარზე დანიშნა დროებითი საყარაულოები და ყარაულები: პატარძეულიდან 6 კაცი (ერთი მათგანი ცხენოსანი), სართიჭალიდან—10 (ერთი ცხენ.) ესენი ჰყარაულობენ მინდორში მომუშავეთ. თუ მავნე ვინმე შენიშნეს, ცხენოსნები სასწრაფოდ აცნობებენ სოფლებს, რათა საერთო ძალით აიცილონ ხიფათი.

◆ მივიღეთ ახალი წიგნები იოსებ იმედაშვილის გამოცემანი: 1) შავი წიგნი, ვახ. კოტეტიშვილისა, ფ. 3 მ., 2) „უნაყოფო ნუგეში“, კომ. 1 მოქ. ი. ხომერიკისა ფ. 3 მ. 3) ორი კომედია—ვაი დროებას და არეული მონასტერი ლესელისა ფ., 3 მან.

„თეატრი და ცხოვრება“, მორიგი (9) ნომერი გამოვიდა, ნომერი მრავალი სურათით შემკულია და ღირს მხოლოდ 5 მ.

შეცდომის გასწორება.

გუშინდელ ჩვენ გაზეთში „სახ. განათლების სამინისტროში“ „სასწავლებელთა გადაჯგუფება“ სწერია: „საკომერციო სასწავლებლის“ პირველი ოთხი კლასის კურსის თანაბრობის გამო შეიერთდება რეალურ სასწავლებელს“ უნდა იყოს: „შეუერთდება ვაჟთა მეორე გიმნაზიას“.

განცხადებანი

ალექსანდრე იოსების ძე გველესიანი აცხადებს, რომ მან დაჰკარგა სიმწიფის მოწმობა მიღებული ტფილისის მე-2-ე გიმნაზიის კანცელარიიდან 1917 წელს № 595 მოწმობა გაუქმელათ ჩაითვალოს.

1102 3—1

პალადი ალექსანდრეს ძე დარახველიძე აცხადებს, რომ მან დაჰკარგა სამხედრო ბეგრიდან განთავისუფლების (ავადმყოფობის გამო) მოწმობა, მიღებული 1918 წელ. თებერვლის 16 ტფილისის სამხედრო უფროსის კანცელარიიდან. მოწმობა გაუქმებულათ ჩაითვალოს. 1103 3—1

ტფილისის ქალაქის მილიციის უფროსი აცხადებს, რომ ქ. ტფილისში მცხოვრებ ალექსანდრე დავითის ძე ყიფიანმა დაჰკარგა უვადო პასპორტი № 1929 მიცემული 1899 წლის დეკემბრის 21-ს თელავის მარშლის მიერ. ამ პასპორტის მპოვნელი ვალდებულია წარუდგინოს იგი საოპეკუნო სამმართველოს.

1086 3—1

ქუთაისის სახალხო მილიციის სამმართველო, თანახმად პლატონ ექვთიმეს ძე კაციტაძის განცხადებისა, რომელსაც დაუკარგავს ატესტატი ჭიათურის უმაღლეს დაწყებითი სასწავლებლის დამთავრებისა, მიცემული 14 მაისს 1916 წელსა № 256, სთხოვს მნახველებს დაკარგულ ატესტატისა წარმოადგინოს მილიციის სამმართველოში.

1369 3—2

მე დავით ვლადიმერის ძემ კურცხალიამ დავკარგე სამხედრო ვალდებულების მოწმობა და უვადო „პასპორტი“ მოცემული შორაპნის მაზრის კომისრისაგან. 1378 3—3

სტეფანე ნიკიფორის ძე კალაშნიკოვი აცხადებს რომ მან დაჰკარგა მოწმობა, მიღებული რუსეთის ეროვნულ საბჭოდან, რომელიც გაუქმებულად უნდა ჩაითვალოს 1050 3—3

გიორგი იოსების ძე ლოლობერიძე აცხადებს, რომ მან დაკარგა საპენსიო წიგნაკი № 2703. წიგნაკი გაუქმებულათ ჩაითვალოს.

3—8

დავკარგე: „სუფსიდან ს. ჯუმათამდე, მგზავრობის დროს, ატესტატი № 43, „სუფსის უმაღლეს დაწყებითი სასწავლებლის 4 კლასის კურსის დამთავრების“ სიმონ ბედიას ძე მოისრაფეშვილმა. მნახველს ვსთხოვ გამომიგზავნოს, რადგანაც მისთვის გამოუსადეგარი და ჩემთვის კი ძლიერ საჭიროა, შემდეგი მისამართით დ. სუფსაში იასონ ქარცივაძესთან, გამომგზავნი მიიღებს საჩუქარს. 1379 3—3

დავკარგე ომში დაჭრილ დასახიჩრებულთა კავშირით მიცემული ბარათი № 59. ვაცხადებ გაუქმებულათ. ვახტანგ ივანის ძე როსტომაშვილი. 1075 3—3

შორაპნის სამაზრო ერობის გამგეობა აცხადებს: პეტრე გიგოს ძის ბუაჩიძის დაკარგული ატესტატი № 220, მიღებული ჭიათურის 6 კლ. სამოქალაქო სასწავლებლიდან 9 ივლისს 1912 წელს, არა პატრონის ხელში, უვარგისია. 1372 3—3

თელავის სამაზრო ერობის გამგეობა ამით აცხადებს, რომ აპრილის 23 რიცხვში დაუკარგავს პასპორტი ერთი წლის ქ. თელავში მცხოვრებს მიხეილ ისაკის ძე ხახუტაშვილს, რომელიც ჰქონია მიცემული მას ქ. თელავის თვითმართველობიდან აპრილის შვიდსა დღეს № 4322. 1076 3—3

ანნა პეტრეს ასული ივანენკო აცხადებს, რომ მან დაჰკარგა უვადო პასპორტი მიღებული ტფილისის ქალაქის მილიციის სამმართველოდან ივნისის 7, 1918 წელს № 2306. რაც გაუქმებულად ჩაითვლება. 1078 3—3

ტფილისის ქალაქის მილიციის უფროსი აცხადებს, რომ ქ. ტფილისის მცხოვრებ ივანე ბალენკომ დაჰკარგა უვადო პასპორტი, მიცემული ტფილისის მაზრის გამგეობიდან 10 ივნისს 1911 წელს № 27, ამ პასპორტის მპოვნელი ვალდებულია წარადგინოს იგი მილიციის სამართველოში. 1077 3—2

მთავარი საბაჟო ამით აცხადებს, რომ 22 აგვისტოს 1919 წ. დილის ათ საათზე, მთავარ საბაჟოს შენობაში გაიყიდება საბაჟოს მიერ ჩამორთმეული საქონელი, სახელდობრ: პაპიროსი, თამბაქო, წუმწუმა, საპონი, მანუფაქტურა და სხვა და სხვა. 1376 3—3

დავკარგე პორტმანი, რომელშიაც არის ფულათ ას ოცდა ორი მანეთი და ჯარისკაცობის სამსახურის მოწმობა, ჯვარის წარდგენის მოწმობა მეოთხე ხარისხისა № 2307.

მპოვნელს ვსთხოვთ ფული თქვენ სასარგებლოთ დარჩეს და მოწმობები დაგვიბრუნოთ. გრიგორი ცანავას სახელზე ესისალოვსკი № 6, 9 კომისარიატში. 1091 3—1

ამით ვაცხადებ, რომ მიცემული ჩემდამი რწმუნებულობის ქაღალდი თეოფილე იოსების ძეს კობეშავიძე, დამტკიცებული ნოტარიუს სტრახოვთან 24 ივნისს ა. წ. № 4611, მე ვსპობ ამა პირველ აგვისტოდან. ალექსანდრე პახტუროვი. 1095 3—1

ეფიმე დიმიტრის ძე ჩინჩალაძე აცხადებს, რომ მან დაკარგა პარტიული წიგნაკი, იარაღის ტარების ნებართვა, ტრამვაის უფასო ბილეთი და სხვა საჭირო საბუთები. აღნიშნული საბუთები ჩჱითვალოს გაუქმებულათ.

1080 3—3

სამხედრო სამინ. საადმინისტრაციო განყ. ამით აცხადებს, რომ 11 ამა აგვისტოს შუადღის 12 საათზედ ყოფილ ტფილისის 2 სასურსათო საწყობის ეზოში-დიდუბეში-დანიშნულია საჯარო ვაჭრობა. გაიყიდება კომბოსტოს მწნილის ცალიერი ბოჭკები. აუქციონში მონაწილეობის მიღების მსურველთ შეუძლიათ გასაყიდათ დანიშნული ბოჭკები გასინჯონ ყოველ დღე დილის 8 საათიდან.

1381 3—3

დაკარგულია საქართველოს სახაზინო რკინის გზების წლიური ბილეთი 1 კლასისა № 353 კახეთის რკინის გზის აგენტის სახელზედ გამოწერილი. გაუქმებულად ითვლება.

1044 4—4

ტფილისის ქალაქის მილიციის უფროსი აცხადებს, რომ ქალაქ ტფილისის მცხოვრებ თამარა გიორგის ასულმა ჭავჭავაძემ დაჰკარგა ნასყიდობის სიგელი ტფილისის ოლქის სასამართლოს უფროსი ნოტარიუსის მიერ მიცემული, 1911 წელს ივლისის № 15 № 2079 რეესტრით. ამ საბუთის მპოვნელი ვალდებულია წარადგინოს იგი მილიციის სამმართველოში. 3—3

ქ. ტფილისის მე-4 სამომრიგებლო უბნის ბოქაული კრაულისი სამ. საქ. წესდ. მე-1030 მუხლ. ძალით აცხადებს, რომ 1919 წ. აგვისტოს 14-ს საჯაროთ გაიყიდება მარიამ ოკონიშნიკოვას მოძრავი ქონება, რომელიც შეიცავს სახლის ავეჯეულობას.

ქონება შეფასებულია 5054 მან. ვაჭრობა მოხდება ფრეილინის ქ. № 6. 1033 1—1

გრიგოლ სპირიდონის ძე ქუთათელაძე აცხადებს, რომ მან დაჰკარგა სამხედრო ბეგრიდან განთავისუფლების მოწმობა მიღებული სამხედრო უმფროსის კანცელარიიდან. მოწმობა გაუქმებულათ ჩაითვალოს. 7108 3—3

საჭიროა 1000 ვედროიანი რკინის ჭურჭელი

(ბ ა კ ი)

მოლაპარაკება შეიძლება სამხედრო ხე-ტყის ქარხანაში, მადათოვის კუნძულზე ტელ. № 8—50 დილის 9 საათიდან დღის 2 საათამდე. 1094 1—1

ბათომის პარტიზანულ პოლკის

საწარმოოსთვის სამეურნეო ნაწილში საჭიროა გამოცდილი მწერალი ქართულის კარგად მცოდნე. ჯამაგირის შესახებ ცნობების მიღება შეიძლება პოლკის შტაბში, 4 ქვეითა პოლკის შენობებში არსენალზე.

1085 3—2

საყოველთაო საყურადღებოთ.

დამფუძნებელმა კრებამ მიმდინარე წლის 18 ივლისს მიიღო დეკრეტი,

რომლის ძალითაც სახელმწიფო, საზოგადოებრივი და კერძო საკრედიტო, სავაჭ.-სამრეწველო დაწესებულებანი და აგრეთვე ფაბრიკა-ქარხნები და საერთოდ დამქირავებელნი ვალდებულნი არიან ამ კანონის გამოქვეყნების დღიდან თავიანთ მოსამსახურეებს ჯამაგირის პირველ დარიგებისთანავე ერთბაშად დაუჭირონ ქალაქის თვითმართველობის სასარგებლოთ ერთდროული სანიტარული გადასახადი. ამიტომ ყველა ზემოაღნიშნული დაწესებულებანი მოვალენი არიან მიმდინარე აგვისტოს ხვედრი ჯამაგირიდან თავიანთ მოსამსახურეთ დაუჭირონ ქალაქის სასარგებლოთ გადასახადი და წარმოუდგინონ ქალაქის კასაში.

საჭირო ბლანკების მიღება შეიძლება:
1) ქალაქის გამგეობაში (გადასახადთა ბიურო).
2) ყველა კომისარიატებში.
3) ხარჯთ აკრეფ ბიუროს აგენტების კონტორებში, რომელნიც იმყოფებიან:
1—უბნისა. ვერის დაღმართზე, მოედანზე (სადაც ხორცის დუქნები იყო).
2-3—უბნისა. ბაზრისა და გრაფის ქუჩების კუთხეში № 2.
4 5— „ თათრის მოედანზე (სასწორის თავზე).
6 7— „ კახეთის მოედანზე, ნუნუფაროვის ბაზარში.
8-9— „ ელისაბედის ქუჩა № 10.
10-11 „ ჩერქეზიშვილის ქუჩა № 87.
12 „ ხუდადოვის ქუჩა № 75. ჩარკვიანის სახლში.

ქალაქის **გამგეობა.** 1388 3—1

საქართველოს მთავრობის სტამბა

დროებითი რედაქტორი ვიქტორ ნოზაძე